ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4424144

ნომერი: AR1666311

თარიღი : 07.03.2019

გაცემის თარიღი : 21.03.2019

გაცნობის თარიღი : 22.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაქტერიოფაგის მიმდებარედ , ნაკვეთი 16/098 ; ქალაქი თბილისი , ბაქტერიფაგის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ბაქტერიოფაგის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ბეჟაშვილი პ/ნ 01027025434
- თბილისი III მასივი IX კვ. კორ. 8 ბ. 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/098 ; ქალაქი თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, ბაქტერიოფაგის ტერიტორიის სამხრეთ- დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან, შპს „ალგანი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ღობის რეკონსტრუქციას, შენობა-ნაგებობაზე ფანჯრის მოწყობასა და კარის რეკონსტრუქციას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018930306 31/10/2018წ. საკადასტრო კოდი N 01.10.13.016.139, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, ნაკვეთი 16/098 ; ქალაქი თბილისი, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ, ბაქტერიოფაგის ტერიტორიის სამხრეთ- დასავლეთით, ვახუშტის სახელობის ხიდის ჩასასვლელთან, შპს „ალგანი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ღობის რეკონსტრუქციას, შენობა-ნაგებობაზე ფანჯრის მოწყობასა და კარის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge